შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1	კომპანია და მისი საქმიანობა	9
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3	მომზადების საფუძველი	9
4	ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	18
6	ფული და ფულის ეკვივალენტები	19
7	გაცემული სესხები	19
8	ძირითადი საშუალებები	20
9	არამატერიალური აქტივები	21
10	საგადასახადო აქტივები	22
11	სხვა აქტივები	22
12	მიღებული სესხები	22
13	ფინანსური იჯარა	23
14	სხვა ვალდებულებები	23
15	საწესდებო კაპიტალი	23
16	საპროცენტო შემოსავალი	23
17	საპროცენტო ხარჯი	23
18	შემოსავალი ჯარიმებიდან	23
19	საკომისიო შემოსავლები, წმინდა	24
20	საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
21	გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი	24
22	ფინანსური რისკების მართვა	25
23	ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	27
24	კაპიტალის მართვა	28
25	დაკავშირებული მხარეები	28
26	პირობითი ვალდებულებები	29
27	საწარმოს უწყვეტობის განხილვა	29
28	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 29

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

Moore Abc, LLC
2, D. Gamrekeli Street,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს "ექსპრეს კაპიტალ +"-ის დამფუძნებელს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ექსპრეს კაპიტალ +" -ის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9 - ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია იყენებს ეროვნული ბანკის მიხედვით დადგენილ ვადაგადაცილებულ სესხებზე დაწესებულ სტანდარტულ განაკვეთებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმებს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურიზაცია, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიც არის: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს გაცემული სესხის ძირზე დარიცხული მარტივი პროცენტის მეთოდის გამოყენებით, რაც შეუსაბამობაში მოდის ფასს 9-თან, რომელიც მოითხოვს, რომ სესხებზე პროცენტის დარიცხვა განხორციელდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანიის მიერ არჩეული პოლიტიკის მიხედვით და ფასს 9-ის მოთხოვნების მიხედვით დასარიცხ პროცენტებს შორის განსხვავებულობამ, შესაძლოა მოგვცეს არსებითი სხვაობები პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავლებთან.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 13 ივნისი, 2025
თბილისი, საქართველო

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	126,509	72,903
გაცემული სესხები	7	1,247,921	1,525,222
ძირითადი საშუალებები	8	560,153	394,560
არამატერიალური აქტივები	9	54,192	59,910
საგადასახადო აქტივები	10	73,209	3,332
სხვა აქტივები	11	13,584	9,442
სულ აქტივები		**2,075,568**	**2,065,369**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	481,169	432,454
ფინანსური იჯარა	8, 13	321,884	169,268
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	21	15,375	18,415
სხვა ვალდებულებები	14	40,418	26,282
სულ ვალდებულებები		**858,846**	**646,419**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	1,203,550	1,203,550
გაუნაწილებელი მოგება		13,172	215,400
სულ კაპიტალი		**1,216,722**	**1,418,950**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,075,568**	**2,065,369**

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს EXPRESS CAPITAL + LTD
445448150

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	**6**	126,509	72,903
გაცემული სესხები	**7**	1,247,921	1,525,222
ძირითადი საშუალებები	**8**	560,153	394,560
არამატერიალური აქტივები	**9**	54,192	59,910
საგადასახადო აქტივები	**10**	73,209	3,332
სხვა აქტივები	**11**	13,584	9,442
სულ აქტივები		**2,075,568**	**2,065,369**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	**12**	481,169	432,454
ფინანსური იჯარა	**8, 13**	321,884	169,268
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	**21**	15,375	18,415
სხვა ვალდებულებები	**14**	40,418	26,282
სულ ვალდებულებები		**858,846**	**646,419**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	**15**	1,203,550	1,203,550
გაუნაწილებელი მოგება		13,172	215,400
სულ კაპიტალი		**1,216,722**	**1,418,950**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,075,568**	**2,065,369**

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	16	376,233	285,531
საპროცენტო ხარჯი	17	(71,047)	(126,278)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**305,186**	**159,253**
შემოსავალი ვალუტიებიდან	18	79,872	141,033
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(2,136)	69,574
საკომისიო შემოსავლები, წმინდა	19	474,554	801,418
სხვა შემოსავალი		730	2,952
საოპერაციო შემოსავალი		**858,206**	**1,174,230**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(891,734)	(804,056)
ცვეთა და ამორტიზაცია	8; 9	(87,955)	(78,772)
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი)	7	(71,698)	52,624
სხვა ხარჯები		(12,087)	(22,836)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		**(205,268)**	**321,190**
მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)	21	3,040	(86,579)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება (ზარალი)		**(202,228)**	**234,611**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		**(202,228)**	**234,611**

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	**16**	376,233	285,531
საპროცენტო ხარჯი	**17**	(71,047)	(126,278)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**305,186**	**159,253**
შემოსავალი ჯარიმებიდან	**18**	79,872	141,033
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(2,136)	69,574
საკომისიო შემოსავლები, წმინდა	**19**	474,554	801,418
სხვა შემოსავალი		730	2,952
საოპერაციო შემოსავალი		**858,206**	**1,174,230**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**20**	(891,734)	(804,056)
ცვეთა და ამორტიზაცია	**8; 9**	(87,955)	(78,772)
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი)	**7**	(71,698)	52,624
სხვა ხარჯები		(12,087)	(22,836)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		**(205,268)**	**321,190**
მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)	**21**	3,040	(86,579)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება (ზარალი)		**(202,228)**	**234,611**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		**(202,228)**	**234,611**

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,203,550**	**465,649**	**1,669,199**
პერიოდის მოგება	-	234,611	**234,611**
განაწილებული დივიდენდი	-	(484,860)	**(484,860)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,203,550**	**215,400**	**1,418,950**
პერიოდის ზარალი	-	(202,228)	**(202,228)**
განაწილებული დივიდენდი	-	-	**-**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,203,550**	**13,172**	**1,216,722**

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,203,550**	**465,649**	**1,669,199**
პერიოდის მოგება	-	234,611	**234,611**
განაწილებული დივიდენდი	-	(484,860)	**(484,860)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,203,550**	**215,400**	**1,418,950**
პერიოდის ზარალი	-	(202,228)	**(202,228)**
განაწილებული დივიდენდი	-	-	**-**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,203,550**	**13,172**	**1,216,722**

ჯანსულ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრების სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(205,268)	321,190
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8, 9	87,955	78,772
ცვლილება სესხების გაუფასურების რეზერვში	7	71,698	(52,624)
საპროცენტო ხარჯი	12; 13; 17	71,047	126,278
გაცემული სესხების შემცირება/(ზრდა)		205,603	110,739
სხვა მოკლევადიანი აქტივების (ზრდა)/შემცირება		(4,142)	296,757
საგადასახადო აქტივები (ზრდა)/შემცირება		(69,877)	(27,575)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		14,384	(5,426)
საოპერაციო ფულადი სახსრების ზრდა პროცენტსა და დაბეგვრამდე		**171,400**	**848,111**
საპროცენტო ხარჯის გადახდა	12; 13	(74,400)	(112,215)
მოგების გადასახადის გადახდა		-	(70,360)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) საოპერაციო საქმიანობიდან		**97,000**	**665,536**
ფულადი სახსრების სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(50,690)	(32,646)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული თანხა		-	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	9	(10,693)	(12,043)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) საინვესტიციო საქმიანობიდან		**(61,383)**	**(44,689)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	3,088,100	1,431,082
გადახდილი სესხები	12	(3,037,100)	(2,383,523)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	13	(33,011)	(33,038)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) საფინანსო საქმიანობიდან		**17,989**	**(985,479)**
ფულადი სასხრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**53,606**	**(364,632)**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**72,903**	**437,535**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6	**126,509**	**72,903**

ვახტანგ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

EXPRESS CAPITAL + LTD
445448150

თარიღი: 13 ივნისი, 2025

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	**2024**	**2023**
ფულადი სახსრების სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(205,268)	321,190
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	**8, 9**	87,955	78,772
ცვლილება სესხების გაუფასურების რეზერვში	**7**	71,698	(52,624)
საპროცენტო ხარჯი	**12; 13; 17**	71,047	126,278
გაცემული სესხების შემცირება/(ზრდა)		205,603	110,739
სხვა მოკლევადიანი აქტივების (ზრდა)/შემცირება		(4,142)	296,757
საგადასახადო აქტივები (ზრდა)/შემცირება		(69,877)	(27,575)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		14,384	(5,426)
საოპერაციო ფულადი სახსრების ზრდა პროცენტსა და დაბეგვრამდე		**171,400**	**848,111**
საპროცენტო ხარჯის გადახდა	**12; 13**	(74,400)	(112,215)
მოგების გადასახადის გადახდა		-	(70,360)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) საოპერაციო საქმიანობიდან		**97,000**	**665,536**
ფულადი სახსრების სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	**8**	(50,690)	(32,646)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული თანხა		-	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	**9**	(10,693)	(12,043)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) საინვესტიციო საქმიანობიდან		**(61,383)**	**(44,689)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	**12**	3,088,100	1,431,082
გადახდილი სესხები	**12**	(3,037,100)	(2,383,523)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	**13**	(33,011)	(33,038)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) საფინანსო საქმიანობიდან		**17,989**	**(985,479)**
ფულადი სასხრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**53,606**	**(364,632)**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**72,903**	**437,535**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**6**	**126,509**	**72,903**

ჯანსუღ ზეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 13 ივნისი, 2025

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მისო ექსპრეს კაპიტალ + (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) დარეგისტრირდა 2014 წლის 21 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ., #86ა, ბ. 46.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად უზრუნველყოფის გარეშე. კომპანიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს ასი ათას ლარს ერთ სესხზე.

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"-ის დამფუძნებელია:

დამფუძნებელი	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
ჯანსუღ ზეიშვილი	100%	100%

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას, მინიმუმ 1,000,000 ლარი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 100,000 ლარზე მეტი თანხის გაცემა. (2025 წლის აპრილიდან 200,000 ლარი).

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 53 ქულაა და 180 ქვეყანას შორის 49-ე ადგილს იკავებს.

3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 16 - იჯარა

"საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას" - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას ცვლის ფასს 16-ის მოთხოვნებს უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებისთვის შემდგომი შეფასების მოთხოვნების დამატებით.

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება; ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

"მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები" - მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები ცვლის ბასს 7-ს "ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება" მოთხოვნებს და მოითხოვს საწარმომ დამატებითი ინფორმაცია გაამჟღავნოს მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ცვლილებები ასევე ამატებს მომწოდებლის ფინანსურ შეთანხმებებს, როგორც მაგალითად ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება“ ლიკვიდურობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნების ფარგლებში.

ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

"მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია" - ბასს 1-ში "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა", ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი განმარტავს კრიტერიუმს, ვალდებულების გრძელვადიანი კლასიფიკაციისთვის: მოთხოვნა, რომ სუბიექტს აქვს უფლება ვალდებულების დაფარვა გადადოს ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვით.

"გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით" - გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით ცვლის ბასს 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" მოთხოვნებს. ცვლილებები აუმჯობესებს საწარმოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, როდესაც მისი უფლება, გადადოს ვალდებულების დაფარვა მინიმუმ თორმეტი თვით, ექვემდებარება კოვენანტის შესრულებას. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების შეშფოთებას ასეთი ვალდებულების კლასიფიკაციის შესახებ, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი.

4.2 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები - ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.2 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

აღნიშნული სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა". მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, ახალ სტანდარტს მაინც ექნება გავლენა მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე. სტანდარტი ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტიულად.

4.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებზე.

4.4 გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

4.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, ოჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთით.

ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.5 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივების ჯგუფი	**შეფასებული საექსპლუატაციო ვადები**
საოფისე ავეჯი და სხვა	5 - 10 წელი
ავტო სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
შენობა-ნაგებობები	20 წელი
უფლება აქტივის გამოყენებაზე	10 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების, რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენით ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდგენა ჩაირთვება მოგება-ზარალის იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ხარჯი აღიარდება. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება ისეთნაირად, რომ ამ აღდგენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივს ადრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

4.6 არამატერიალური აქტივები

შექმნილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება მასზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზირებით, ამორტიზაციის და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია.

4.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც ივივე ან სხვა პერიოდით ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.7 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები).

2022 წლის 16 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით. კანონში შეტანილი ცვლილება ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან და ამ ცვლილების თანახმად აღნიშნული ორგანიზაციები გაცემულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს და სესხის შესაძლო ზარალის რეზერვს საგადასახადო მიზნებისათვის აღიარებენ ფასს სტანდარტის შესაბამისად.

4.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.9 იჯარა

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებსა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

კომპანიის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელებს უცხოურ ვალუტაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

4.10 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.11 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

4.12 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

4.13 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისგაან გარიგებისთვის, ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

4.14 ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

4.15 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთები იყო:

	31-დეკ-24	**31-დეკ-23**
აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
ევრო/ლარი	2.9306	2.9753

4.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარების ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკაში.

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.17 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

4 ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.17 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებზე, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორთფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 7).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით, გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9 -ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება
ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4 *ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)*

4.17 *ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)*

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5 **კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები**

საღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს, რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას როდესაც კომპანიისათვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორიცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

5 *კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)*

არამატერიალური აქტივების მომსახურეობის ვადა - კომპანიის მიერ მომსახურეობის ვადის შეფასება, ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებებს მსგავს აქტივებთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ამორტიზაციას. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი - აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას. მაშინ, როდესაც, სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვის მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს, როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულდება სესხის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფული ბანკში	96,300	20,121
სალარო	30,209	52,782
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**126,509**	**72,903**

ფული და ფულის ეკვივალენტები	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
ლარი	105,413	19,947
აშშ დოლარი	9,195	28,728
ევრო	8,587	13,791
ლირა	3,294	10,332
რუბლი	20	105
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**126,509**	**72,903**

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია BB - ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

7 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს ინდივიდუალურ მეწარმეებზე და ფიზიკურ პირებზე საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზნით. კომპანიის მიერ გაცემულია როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანია სესხები. სესხები არის უზრუნველყოფილი თავდებობით ან უძრავი/მოძრავი ქონებით.

7.1 სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ძირი	1,416,781	1,648,056
პროცენტი	84,839	59,167
მთლიანი სასესხო პორტფელი	**1,501,620**	**1,707,223**
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(253,699)	(182,001)
წმინდა პორტფელი	**1,247,921**	**1,525,222**

7.2 სესხების გაუფასურების რეზერვი

კომპანია მისაღებ ძირზე და პროცენტზე ქმნის ანარიცხებს. 2024 და 2023 წელს კომპანია გაცემულ სესხებს არეზერვებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი სესხი რეზერვდება 30% –ით 60-დან 120 დღემდე 50%-ით, ხოლო 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში რეზერვდება 100% რეზერვდება როგორც მისაღები ძირი, ასევე გადასახდელი პროცენტი.

7 *გაცემული სესხები (გაგრძელება)*

7.2 *სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)*

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში	**2024**	**2023**
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**182,001**	**233,339**
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	437,046	601,365
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	*(262,254)*	*(666,110)*
ამოღებული / (ჩამოწერილი) სესხები	*(103,094)*	*13,407*
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**253,699**	**182,001**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	**რეზერვის პროცენტი**	**სესხის თანხა**	**რეზერვის თანხა**
0-30	0%	1,198,353	-
31-60	30%	25,466	5,059
61-120	50%	58,322	29,161
> 120	100%	219,479	219,479
სულ		**1,501,620**	**253,699**

იმ სესხებისათვის, რომელთაც ვადაგადაცილება აღარ აქვთ, მაგრამ ადრე ვადაგადაცილების გამო შექმნილია რეზერვი (64,155 ლარი), ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ისევ რჩება რეზერვში და წარმოდგენილია 0-30 დღემდე ვადაგადაცილების ნაწილში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	**რეზერვის პროცენტი**	**სესხის თანხა**	**რეზერვის თანხა**
0-30	0%	1,583,833	64,155
31-60	30%	6,115	1,605
61-120	50%	2,069	1,035
> 120	100%	115,206	115,206
სულ		**1,707,223**	**182,001**

8 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	**შენობა ნაგებობები**	**ავტომობილები**	**უფლება აქტივის გამოყენებაზე***	**საოფისე ავეჯი და სხვა**	**სულ**
31-დეკ-22	**211,500**	**27,600**	**264,999**	**122,376**	**626,475**
შეძენები	-	27,720	-	5,848	**33,568**
ჩამოწერები	-	-	-	(1,120)	**(1,120)**
31-დეკ-23	**211,500**	**55,320**	**264,999**	**127,104**	**658,923**
შეძენები	-	-	201,383	34,934	**236,317**
ჩამოწერები	-	-	-	-	**-**
31-დეკ-24	**211,500**	**55,320**	**466,382**	**162,038**	**895,240**

8 *ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)*

დაგროვილი ცვეთა					
31-დეკ-22	**(43,183)**	**(23,050)**	**(64,042)**	**(73,096)**	**(203,371)**
პერიოდის ცვეთა	(12,650)	(4,804)	(26,500)	(17,236)	**(61,190)**
აკ. ცვეთის ელიმინირება	-	-	-	198	**198**
31-დეკ-23	**(55,833)**	**(27,854)**	**(90,542)**	**(90,134)**	**(264,363)**
პერიოდის ცვეთა	(11,385)	(4,903)	(41,252)	(13,184)	**(70,724)**
აკ. ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	**-**
31-დეკ-24	**(67,218)**	**(32,757)**	**(131,794)**	**(103,318)**	**(335,087)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31-დეკ-22	***168,317***	***4,550***	***200,957***	***49,280***	***423,104***
31-დეკ-23	***155,667***	***27,466***	***174,457***	***36,970***	***394,560***
31-დეკ-24	***144,282***	***22,563***	***334,588***	***58,720***	***560,153***

ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია ბანკისგან მიღებული სესხები (იხ. შენიშვნა 12).

* კომპანიას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები, სადაც წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებებით, კომპანიამ 2020 წელს 10 წლით იჯარით აიღო საოფისე ფართი ბათუმში. საიჯარო ქირა შეადგენს 1,000 აშშ დოლარს თვეში. ხელშეკრულების პირობის თანახმად პირველი ხუთი თვის იჯარის დაფარვა მოხდა წინასწარ. 2024 წელის შეთანხმებით საოფისე ფართი აიღო იჯარით თბილისში 11 წლის ვადით. ყოველთვიური საიჯარო გადასახდელები შეადგენს 750 დოლარს. ორივე იჯარის აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია ძირითადი საშუალების ცალკე ჯგუფში.

9 **არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვის და სესხების პროგრამა.

	პროგრამული უზრუნველყოფა	**სულ**
ისტორიული ღირებულება		
31-დეკ-22	**155,970**	**155,970**
შეძენები	12,043	**12,043**
31-დეკ-23	**168,013**	**168,013**
შეძენები	11,513	**11,513**
31-დეკ-24	**179,526**	**179,526**
დაგროვილი ამორტიზაცია		
31-დეკ-22	**(90,521)**	**(90,521)**
პერიოდის ამორტიზაცია	(17,582)	**(17,582)**
31-დეკ-23	**(108,103)**	**(108,103)**
პერიოდის ამორტიზაცია	(17,231)	**(17,231)**
31-დეკ-24	**(125,334)**	**(125,334)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31-დეკ-22	***65,449***	***65,449***
31-დეკ-23	***59,910***	***59,910***
31-დეკ-24	***54,192***	***54,192***

10 საგადასახადო აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენდა 73,209 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი არის 3,332 ლარი.

11 სხვა აქტივები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ავანსები	7,116	1,800
დებიტორები	2,004	1,761
სხვა აქტივები	4,464	5,881
სულ სხვა აქტივები	**13,584**	**9,442**

12 მიღებული სესხები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ბანკებისგან მიღებული სესხები ლარში	436,000	385,000
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები დოლარში	25,542	24,474
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები ლარში	16,377	16,377
გადასახდელი პროცენტი	3,250	6,603
სულ მიღებული სესხები	**481,169**	**432,454**

მიღებული სესხების ვადიანობა	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
მოკლევადიანი სესხები	481,169	432,454
სულ მიღებული სესხები	**481,169**	**432,454**

მიღებული სესხების რეკონსილაცია	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
საწყისი ნაშთი	**432,454**	**1,382,992**
სესხის მიღება	3,088,100	1,431,082
პროცენტის დარიცხვა	46,016	114,118
ძირის გადახდა	(3,037,100)	(2,383,523)
პროცენტის გადახდა	(49,369)	(112,215)
საკურსო სხვაობა	1,068	-
საბოლოო ნაშთი	**481,169**	**432,454**

ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხები შეჯამებულია და წარმოდგენილია ცხრილში

დასახელება	**ვალ უტა**	**ხელშ. გაფორმ. თარიღი**	**სესხის თანხა**	**დაფარვის ვადა**	**საპრ. განაკვეთი**	**31.12.2024 (ლარი)**	**31.12.2023 (ლარი)**
ლია აფაქიძე	GEL	28-Oct-14	4,378	12 თვე	11%	4,377	4,377
ლია აფაქიძე	USD	30-Jul-19	8,000	12 თვე	6%	15,438	14,792
მაია დევაძე	GEL	2-Jul-15	10,000	15 თვე	12%	10,000	10,000
გიორგი ქათამაძე	GEL	28-Nov-22	2,000	6 თვე	16%	2,000	2,000
გიორგი ქათამაძე	USD	28-Nov-22	2,400	6 თვე	6%	1,684	1,614
თენგიზ დევაძე	USD	15-Mar-22	20,000	12 თვე	5%	8,420	8,068
						41,919	**40,851**

კომპანია წარმოადგენს დამფუძნებლის საბანკო სესხის სოლიდარულ თავდებს, სესხის ხელშეკრულება 9403590 თავდებობით უზრუნველყოფილი სესხის ნაშთი 31.12.2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 165,879 ლარს, ხოლო თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს.

13	**ფინანსური იჯარა**	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
	საიჯარო ვალდებულების საწყისი ნაშთი	**169,268**	**190,146**
	ახალი იჯარა	171,186	-
	დარიცხული პროცენტი	25,031	12,160
	პროცენტის გადახდა	(25,031)	(12,160)
	საიჯარო თანხის გადახდა	(33,011)	(19,426)
	საკურსო სხვაობა	14,441	(1,452)
	საიჯარო ვალდებულების საბოლოო ნაშთი	**321,884**	**169,268**

საიჯარო გადასახდელების დისკონტირებისთვის გამოყენებულია საპროცენტო განაკვეთები: თბილისის იჯარა - 9.25 ბათუმის იჯარა 6.98%. საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

მომავალი საიჯარო გადასახდელების არადისკონტირებული თანხების ანალიზი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31-დეკ-2024	**< 1 წელზე**	**1-3 წლამდე**	**3-5 წლამდე**	**> 5 წელზე**	**სულ**
არადისკონტირებული საიჯარო გადასახდელები	54,031	117,886	117,886	156,479	**446,282**

31-დეკ-2023	**< 1 წელზე**	**1-3 წლამდე**	**3-5 წლამდე**	**> 5 წელზე**	**სულ**
არადისკონტირებული საიჯარო გადასახდელები	32,273	64,546	64,546	51,099	**212,464**

14	**სხვა ვალდებულებები**	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
	მიღებული ავანსები	25,237	13,065
	ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	5,716	6,989
	სხვა კრედიტორული დავალიანება	9,465	6,228
	სულ სხვა ვალდებულებები	**40,418**	**26,282**

15 საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,203,550 ლარს.

16 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელს, რომელმაც 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 376,233 ლარი (2023 წელი: 285,531 ლარი).

17	**საპროცენტო ხარჯი**	**2024**	**2023**
	საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	46,016	114,118
	საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	25,031	12,160
	სულ საპროცენტო ხარჯი	**71,047**	**126,278**

18 შემოსავალი ჯარიმებიდან

შემოსავალი ჯარიმებიდან წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებულ საჯარიმო სარგებელს, რომელმაც 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 79,872 ლარი (2023 წელი: 141,033 ლარი).

19 საკომისიო შემოსავლები, წმინდა

საკომისიო შემოსავლები მოიცავს, მისოს ხელის ტერმინალის ე.წ "პოკეტის" მომსახურების საკომისიოს, რომელიც შეადგენს მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლის დიდ ნაწილს. კომპანია მომხმარებლებს მათ მიერ განსაზღვრულ ადგილზე უწევს მომსახურებას მობილური გადახდის აპარატებით ე.წ "პოკეტით". რაც გულისხმობს კლიენტის მიერ სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, კონსულტანტის ვიზიტს კლიენტის მიერ მითითებულ მისამართზე და თანხის გადახდას. აღნიშნულმა 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 474,554 ლარი (2023 წელი: 801,418 ლარი).

20 **საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები**	**2024**	**2023**
ხელფასის ხარჯი	676,611	640,085
მომსახურების ხარჯი	38,723	33,772
საკონსულტაციო ხარჯი	38,651	28,492
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	26,364	17,815
ტრანსპორტირების ხარჯი	20,805	14,033
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	17,148	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	1,889	1,035
სხვა საერთო ხარჯი	71,543	68,824
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**891,734**	**804,056**

21 **გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი**	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
ძირითადი საშუალებები	(73,907)	(46,364)
არამატერიალური აქტივები	(5,845)	(5,904)
საიჯარო ვალდებულებები	64,377	33,853
გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	**(15,375)**	**(18,415)**

გადასახადების გადავადების მიზეზები მოკლედ ქვემოთ არის მოცემული:

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდებში, სასარგებლო მომსახურეობის ვადების განსაზღვრაში და გაუფასურების ზარალის აღიარებაში, რომლებიც წარმოშობს განსხვავებებს ფასს-ის მიერ განსაზღვრულ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და ამ აქტივების საგადასახადო ბაზას შორის. ეს სხვაობები წარმოშობს გადავადებულ გადასახადებს. ასევე, ზოგიერთი ძირითადი საშუალების ჩამოწერა, რომელიც ასახულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ პერიოდში შეიძლება გამოიქვითოს საგადასახადო მიზნებისთვის მხოლოდ შემდგომ პერიოდში, როცა მოხდება კონკრეტული ადმინისტრაციული პროცედურების დასრულება.

აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, კერძოდ ფასს-ის მიხედვით იჯარა ხარჯად აღიარდება ცვეთის და საპროცენტო ხარჯის სახით, ხოლო საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხარჯად აღიარდება მხოლოდ საკონტრაქტო ღირებულება.

ცვლილება გადავადებულ გადასახადში წლის განმავლობაში	**2024**	**2023**
წლის დასაწყისი - აქტივი (ვალდებულება)	(18,415)	(2,196)
ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი /(ხარჯი)	3,040	(16,219)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წლის ბოლოს	**(15,375)**	**(18,415)**
მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	**(70,360)**
სულ მოგების გადასახადისგან (ხარჯი)/სარგებელი	**3,040**	**(86,579)**

22 ფინანსური რისკების მართვა

22.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

2024 წლის 31 დეკემბრისათვის	**ლარი**	**სხვა**	**დოლარი**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	105,413	11,901	9,195	**126,509**
გაცემული სესხები (წმინდა)	1,247,921	-	-	**1,247,921**
სხვა აქტივები	6,468	-	-	**6,468**
სულ ფინანსური აქტივები	**1,359,802**	**11,901**	**9,195**	**1,380,898**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	455,627	-	25,542	**481,169**
ფინანსური იჯარა	-	-	321,884	**321,884**
სხვა ვალდებულებები	15,181			**15,181**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**470,808**	**-**	**347,426**	**818,234**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**888,994**	**11,901**	**(338,231)**	

2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**ლარი**	**სხვა**	**დოლარი**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,947	24,228	28,728	**72,903**
გაცემული სესხები (წმინდა)	1,525,222	-	-	**1,525,222**
სხვა აქტივები	9,442	-	-	**9,442**
სულ ფინანსური აქტივები	**1,554,611**	**24,228**	**28,728**	**1,607,567**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	407,980	-	24,474	**432,454**
ფინანსური იჯარა	-	-	169,268	**169,268**
სხვა ვალდებულებები	13,217	-	-	**13,217**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**421,197**	**-**	**193,742**	**614,939**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**1,133,414**	**24,228**	**(165,014)**	

22.2 ლიკვიდურობის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიას სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

22 *ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)*

22.2 *ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)*

	2024	2023
ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა მოგებაზე
-10%	32,633	14,079
-5%	16,317	7,039
5%	(16,317)	(7,039)
10%	(32,633)	(14,079)

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

2024 წლის 31 დეკემბერი	**< 1 წელზე**	**1-3 წლამდე**	**3-5 წლამდე**	**> 5 წელზე**	**სულ**
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	126,509	-	-	-	**126,509**
გაცემული სესხები	1,172,282	75,639	-	-	**1,247,921**
სხვა აქტივები	6,468	-	-	-	**6,468**
სულ აქტივები	**1,305,259**	**75,639**	**-**	**-**	**1,380,898**
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	481,169	-	-	-	**481,169**
ფინანსური იჯარა	29,512	77,130	89,638	125,604	**321,884**
სხვა ვალდებულებები	15,181	-	-	-	**15,181**
სულ ვალდებულებები	**525,862**	**77,130**	**89,638**	**125,604**	**818,234**
ლიკვიდურობის სხვაობა	**779,397**	**(1,491)**	**(89,638)**	**(125,604)**	**562,664**
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	**779,397**	**(1,491)**	**(89,638)**	**(125,604)**	

2023 წლის 31 დეკემბერი	**< 1 წელზე**	**1-3 წლამდე**	**3-5 წლამდე**	**> 5 წელზე**	**სულ**
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	72,903	-	-	-	**72,903**
გაცემული სესხები	1,420,488	104,734	-	-	**1,525,222**
სხვა აქტივები	9,442	-	-		**9,442**
სულ აქტივები	**1,502,833**	**104,734**	**-**	**-**	**1,607,567**
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	432,454	-	-	-	**432,454**
ფინანსური იჯარა	21,319	47,414	54,460	46,075	**169,268**
სხვა ვალდებულებები	13,217	-	-	-	**13,217**
სულ ვალდებულებები	**466,990**	**47,414**	**54,460**	**46,075**	**614,939**
ლიკვიდურობის სხვაობა	**1,035,843**	**57,320**	**(54,460)**	**(46,075)**	**992,628**
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	**1,035,843**	**57,320**	**(54,460)**	**(46,075)**	

22 *ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)*

22.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან და სესხებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფული ბანკში	96,300	20,121
გაცემული სესხები	1,247,921	1,525,222
სულ	**1,344,221**	**1,545,343**

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეყრდნობა ბაზარზე არსებულ კლიენტებზე ინფორმაციის დეტალურ მოძიებას და შესწავლას, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემა-არგაცემაზე.

23 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია, განისაზღვროს ის ღირებულება რაც, შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

23.1 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას იყენებს:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.

23 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და საღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

23.1 რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

24 კაპიტალის მართვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურობის ანალიზი, საიდანაც დგინდება კაპიტალის ადეკვატურობა მოთხოვნასთან მიმართებაში.

	31-დეკ-24	**31-დეკ-23**
საწესდებო კაპიტალი	1,203,550	1,203,550
კაპიტალის ზრდა	-	-
სულ კაპიტალი	**1,203,550**	**1,203,550**

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ლიმიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეადგენდა 1,000,000 ლარს.

25 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-24	**გაცემული სესხი**	**სხვა ვალდებულება**	**სხვა ხარჯი**	**ხელფასის ხარჯი**
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი, აქციონერი	34,027	-	(5,940)	(308,921)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	-	(3,206)	(4,980)	(164,173)
სულ	**34,027**	**(3,206)**	**(10,920)**	**(473,094)**

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-23	**გაცემული სესხი**	**ხელფასის ხარჯი**
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი, აქციონერი	27,000	(261,340)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	-	(129,219)
სულ	**27,000**	**(390,559)**

26 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

27 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

28 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2025 წლის 3 აპრილს სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე გაასხვისა 1%-იანი წილი.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ კომპანიამ, საქართველოს ბანკისგან მიიღო სესხი 562,900 ლარის ოდენობით, ხოლო კომპანიის 1%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირისგან მიიღო სესხი 20,900 დოლარის ოდენობით.
ამავე პერიოდში კომპანიამ დაფარა საქართველოს ბანკის სესხი 402,192 ლარის ოდენობით, ასევე დაფარა ფიზიკური პირისაგან მიღებული სესხი 2,000 ლარი და 600 დოლარი

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

*****

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ექსპრეს კაპიტალ +“-ის მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად 3
კომპანიის მოკლე მიმოხილვა 4
კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები 5
2024 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 6
კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა 11
რეგულაციები 12
AML განყოფილების ფუნქცია და როლი 13
პროდუქტები 16
ვალდებულებები და დაფინანსება 16
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები 17
ძირითადი რისკები და მართვა 17
2025 წლის გეგმა და სტრატეგია 20

Moore Abc, LLC
2, D. Gamrekeli St.
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +"-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 13 ივნისს, რომელიც მოიცავდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 29 სექტემბერი 2025
თბილისი, საქართველო

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ექსპრეს კაპიტალ +“
მმართველობის ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

კომპანიის მოკლე მიმოხილვა

შპს მისო “ექსპრეს კაპიტალ+“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების იურიდიული ფორმით 2014 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა და წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე არაუზრუნველყოფილი მიკრო ბიზნეს სესხების გაცემა. კომპანიის მიერ გაცემული სესხების ძირითადი უზრუნველყოფა არის “სოლიდარული თავდებობა“, გაცემული თითოეული სესხი გამყარებულია „სოლიდარული თავდებობით“, რომელთა სესხზე შესაბამისობა და კრიტერიუმები მკაცრად და ცალსახად გაწერილია შიდა პოლიტიკა პროცედურებში, კერძოდ კომპანიის მიერ შემუშავებულ “სესხის დაკრედიტების დებულებაში”.

კომპანიიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ერთ მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე შეადგენს 100,000 ლარს. (2025 წლის აპრილიდან 200,000 ლარს)

2017 წლიდან კომპანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით მოღვაწეობს და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმინობა რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, რაც თავისთავად გულისხმობს საფინანსო სფეროში მოქმედი სხვა არარეგულირებულ იურიდიულ პირებთან შედარებით მკაცრ კონტროლსა და რეგულაციას.

კომპანიის ეფექტურმა მართვამ წლების გამავლობაში უზრუნველყო კომპანიის განვითარება, მისი სტაბილურ, ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება და ბაზარზე მყარად დამკვიდრება.

გამოვყოფთ კომპანიისათვის მნიშვნელოვან წლებს და ავღნიშნავთ, რომ 2019 წელს განხორციელდა კომპანიის საწესდებო კაპიტალის საგრძნობი ზრდა. კერძოდ, კაპიტალი შეივსო 1,203,000 (ერთი მილიონ ორასსამი ათასი) ლარის ოდენობამდე. 2019 წლიდან დღემდე კომპანია წარმატებულად ინარჩუნებს კანონმდებლობით დადგენილ ლიკვიდობის კოეფიციენტებს. 2020-2021 წელს, მიუხედავად ქვეყანაში covid-19 პანდემიით შექმნილი ვითარებისა, კომპანიამ შეძლო ფინანსურად სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება, რაც გამოიხატება მთელი წლის განმალობაში ლიკვიდურობის შენარჩუნებაში და ასევე კომპანიის მოგების გაზრდაში. 2022-2023 წლებში კი კომპანიამ გატარებული ეფექტური რეფორმების საფუძველზე საგრძნობლად გაზარდა მოგება გასულ წლებთან შედარებით. აღნიშნულმა კომპანიას ხელი შეუწყო 2024 წელს დასახული მიზნების შესრულებაში და საფუძველს გვაძლევს მეტი მიზანი დავისახოთ 2025 წელს.



კომპანია საქმიანობას ამ ეტაპზე წარმატებულად ახორციელებს აჭარაში, ოზურგეთში და თბილისში.

კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები

კომპანიის მართვა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის მეშვეობით, რომელთა არჩევის წესი ცალსახად განსაზღვრულია ორგანიზაციის წესდებით.

კომპანიის მმართველი ორგანია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა ახალი წევრებით 2021 წლის 04 აგვისტოს. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისაგან (1 საბჭოს თავმჯდომარე, 1 მოადგილე და 3 თავისუფალი წევრი). თითოეული წევრის სამუშაო პროფილი გამიჯნულია ერთმანეთისაგან. საბჭოს სხდომებზე განიხილება თითოეული წევრის მიერ გატანილი თავისი განყოფილების (იურიდიული, საკრედიტო, პრობლემური, პროგრამული უზრუნველყოფის) შესაბამისი საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება კენჭის ყრით და დგება სათანადო ოქმი. საბჭო ასევე განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც პირდაპირ პროპორციულია კომპანიის ეფექტური მართვისა და განვითარებისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი იყო ჯანსუღი ზეიშვილი. 2025 წლის 14 ივლისიდან კომპანიის წილის განაწილება შეიცვალა შემდეგნაირად:

- 97% - ჯანსუღი ზეიშვილი (დირექტორი)
- 1% - მირანდა ქათამაძე
- 1% - ნესტან აბაშიძე
- 1% - ია ზეიშვილი

კომპანიაში მოქმედებს სტანდარტი, რომლის ძირითადი პრინციპებია შეჯიბრებითობა და კონკრეტული ვაკანსიისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე კადრების შერჩევა. შერჩევის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს ყოველწლიურად, თანამშრომლების დატრენინგება და გადამზადება ხორციელდება როგორც დირექტორის მიერ, ასევე დამატებითი ტრენინგ კურსებით. 2024 წელს განხორციელდა აქტიური მუშაობა ახალი კადრების მიღება-დატრენინგების მიმართულებით, მენეჯმენტმა გაამკაცრა მიდგომები და მოთხოვნები, რის შედეგადაც მოხდა არსებული კადრების გადახალისება და კომპანიამ აიყვანა შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლები. შრომის ხელშეკრულება ფორმდება ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, რაც სრულად შეესაბამება მოქმედ შრომის კანონმდებლობას. 2024 წელს კომპანიის სამივე ფილიალში აქტიურ რეჟიმში ხორციელდებოდა ახალი კადრების მოძიება და გუნდის შევსება ახალი ძალითა და ახალი შემართებით. 2024 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებულთა რიცხვი საშუალოდ 20 ადამიანი იყო.

2024 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიას 2024 წლისთვის დაგეგმილი ქონდა ცვლილებების განხორცილება სხვადასხვა მიმართულებით, ხარისხის, ზრდის და მომგებიანობის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია 2024 წლის დაგეგმილი ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

- ოზურგეთის ფილიალის და თბილისის ფილიალის გახსნა;
- პორტფელის ხარისხი და საკადრო გადახალისება;
- სალომბარდო სესხების პორტფელის შექმნა;
- საკრედიტო პორტფელის ზრდა;
- კონვერტაციის ოპერაციების გააქტიურება;
- სოციალური მარკეტინგის გააქტიურება;
- საკრედიტო ტვირთის შემსუბუქება-კომპანიის თავდებობით მიღებული დამფუძნებლის სესხის დაფარვის მეთოდის ცვლილება;
- ჩამოწერილ სესხებზე მუშაობა: მიღწეული შეთანხმებების მიხედვით თანხების დაბრუნება შეთანხმებით გაწერილ ვადებში.

ოზურგეთის და თბილისის ფილიალის გახსნა - ოზურგეთის ბაზრის შესწავლის მიზნით, ბათუმის ოფისის საკრედიტო ოფიცრები პერიოდულად ახორციელებდნენ ვიზიტებს და პრომოუშენს ადგილობრივ ბიზნეს სექტორებში, მათ შორის ავტოსადგურსა და საკოლმეურნეო ბაზრობებზე, უნივერმაღსა და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში ქალაქსა და მის შემოგარენში. პრომოუშენის პროცესში დაფიქსირებული მაღალი მოთხოვნა საფუძველს ქმნიდა კომპანიის ბაზარზე დამკვიდრებისთვის. 2023 წლის ივნისიდან დაიწყო სესხების გაცემა ბათუმის ფილიალიდან, ხოლო საკრედიტო პორტფელის შექმნის შემდეგ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეთში ფილიალის გახსნა. 2024 წლის აპრილიდან დაიწყო ფართის მოძიება, რემონტი, კადრების შერჩევა და დატრენინგება, რის შედეგადაც 2024 წლის 19 ივნისს ეთში ოფიციალურად

გაიხსნა ფილიალი. 2024 წლის ზაფხულის სეზონზე მოხდა გაცემული სესხების მოცულობის და რაოდენობის შემცირება. შემცირება გამოიწვია როგორც ზაფხულისთვის დამახასიათებელმა სეზონურმა ეფექტმა, ასევე სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირთა მატებამ რეგიონში. მოზიდული კლიენტურის უმეტეს ნაწილზე, ვერ გაიცემოდა სესხი სოციალური სტატუსის ქონის გამო. გრაფიკებზე მოცემულია ოზურგეთის და თბილისის ფილიალის პორტფელის დინამიკა 2024 წელს:



2024 წლის თებერვლიდან დაიწყო კადრების და ფართის მოძიება თბილისის ფილიალისთვის. ფილიალი გაიხსნა 2024 წლის 10 ივლისს. მთავარი სტრატეგია იყო: კომერციულად დატვირთულ უბანში ფილიალის გახსნა, ჩვენი პროდუქტისთვის შესაბამის კლიენტურასთან ახლოს ფუნქციონირება. ახალ ბაზარზე გასვლისას მოლოდინებში რისკის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო სოლიდური კომერციული ფართის შერჩევა გონივრული საიჯარო გადასახადით. ორივე სტრატეგია დაკმაყოფილებულია - ფილიალი მდებარეობს აკაკი წერეთლის გამზირი 49/51; ფართი-58 კვ.მ, ყოველთვიური საიჯარო ქირა 600 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. ამჟამად თბილისის ფილიალში დასაქმებულია 3 თანამშრომელი. ოქტომბრის თვე დაეთმო ბაზრის გაცნობას, ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების შესწავლას, მათი ჩვენს პროდუქტთან შესაბამისობის და კონკურენტი კომპანიების პროდუქტებთან ჩვენი პროდუქტის კონკურენტული პირობების და მიდგომების ჩამოყალიბებას. თბილისის ფილიალმა სესხების გაცემა დაიწყო ოქტომბრის თვეში.



მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდა - კომპანიის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება მიზნად ისახავდა საკრედიტო პორტფელის ჯანსაღ ზრდას, მიუხედავად დაგეგმილი სტაგნაციის პერიოდისა. წლის ბოლოსთვის დაფიქსირდა ზრდა წინა თვეებთან შედარებით, რაც მიუთითებს სწორად დაგეგმილ სტრატეგიაზე და ეფექტიან მართვაზე.



კადრების გადახალისება და პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება - ზაფხულის თვეებში, როდესაც სესხებზე მოთხოვნა ტრადიციულად დაბალია, კომპანიამ დაგეგმა საკადრო ცვლილებები. ბათუმში და თბილის დამატებით აყვანილი იქნა სამი ახალი თანამშრომელი. პარალელურად, გათავისუფლდა ორი გამოცდილი თანამშრომელი, რომელთა პორტფელში ვადაგადაცილებული სესხების მაღალი წილი ფიქსირდებოდა. გადაწყვეტილება მიღებული იყო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკების შემცირების მიზნით. საკადრო ცვლილებების პროცესში გათვალისწინებული იყო პორტფელის მოცულობის დროებითი შემცირება, რადგან საჭირო იყო იმ სესხების დაფარვა, რომლებიც ვადაგადაცილებით იფარებოდა. შესაბამისად, ზაფხულის თვეებში მოსალოდნელი იყო სტაგნაცია, ხოლო ზრდის ტენდენცია – ოქტომბრიდან. მიღებული ზომების შედეგად, პორტფელის ხარისხის მაჩვენებელი PAR>30, რომელიც მაისში შეადგენდა 9.8%-ს, ივნისიდან დაიწყო კლება და წლის ბოლოსთვის შემცირდა 0.1%-მდე. კომპანიის სამიზნე მაჩვენებელი განსაზღვრულია <2%-ზე, რაც მიღწეული შედეგებით მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია.



კონვერტაციის ოპერაციების გააქტიურება - AML სისტემის გამართულობა, როგორც პროგრამული, ასევე საკადრო თვალსაზრისით, უზრუნველყოფს კონვერტაციის ოპერაციების უსაფრთხო და ეფექტიან განხორციელებას. იანვრიდან ივნისის ჩათვლით ოპერაციები ხორციელდებოდა მაქსიმალური სიფრთხილით და პასიურად, ხოლო აქტივაცია დაიწყო ოქტომბრიდან. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სავალუტო ოპერაციების მაქსიმალური ამუშავება და კონკურენტული გარემოს შექმნა, რაც არა მხოლოდ ზრდის შემოსავლებს, არამედ მიუთითებს პროცესების სწორ მართვაზე. სავალუტო ოპერაციებმა კომპანიას მოუტანა სარგებელი როგორც ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე ცნობადობის ზრდის კუთხით. მომხმარებლებს ვთავაზობთ ბაზარზე კონკურენტუნარიან სავალუტო კურსებს, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, წარმატებით ვუწიოთ კონკურენცია მსხვილ მოთამაშეებს და შევთავაზოთ მათზე მორგებული პირობები.

სოციალური მარკეტინგის გააქტიურება - სხვადასხვა სოციალურ ქსელში გააქტიურდა კომპანიის პროდუქტების პრომოუშენი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბრენდის ცნობადობა ადგილობრივ ბაზარზე და ხელი შეუწყო მომხმარებელთა ინტერესის ზრდას. ამასთან, აღნიშნულმა აქტივობებმა დადებითი გავლენა მოახდინა საკადრო შერჩევის პროცესზეც, რაც გამოიხატა კანდიდატების დიაპაზონის გაფართოებაში და კვალიფიციური კადრების მოზიდვის შესაძლებლობის ზრდაში.

საკრედიტო ტვირთის შემსუბუქება, კომპანიის თანამსესხებლობით მიღებული დამფუძნებლის სესხის, დაფარვის მეთოდის ცვლილება - კომპანიის დამფუძნებელს მიღებული აქვს მყარად უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი, რომლის დაფარვა ხორციელდება კომპანიიდან მიღებული ანაზღაურებით. სესხის ყოველთვიური შენატანი შეადგენს 14,132 ლარს, ხოლო სესხი სრულდება 2026 წლის 5 იანვარს. ამ თანხის დასაფარად საჭიროა დარიცხული ხელფასი 18,025 ლარი, საიდანაც საშემოსავლო გადასახადი არის 3,533 ლარი, ხოლო საპენსიო დანარიცხი 361 ლარი. ალტერნატიულად, თუ სესხი დაიფარებოდა დივიდენდის საშუალებით, სესხის გრაფიკის მიხედვით ხარჯი თვეში იქნებოდა 14,871 ლარი, მათ შორის ხელზე ასაღები თანხა 14,132 ლარი, ხოლო საშემოსავლო ხარჯი 744 ლარი. ამ ორ მეთოდს შორის ხარჯების სხვაობა თვეში შეადგენს 3,150 ლარს, რაც 12 თვის განმავლობაში ჯამში უდრის 37,796 ლარს.

ჩამოწერილ სესხებზე მუშაობა: მიღწეული შეთანხმებების მიხედვით თანხების დაბრუნება შეთანხმებით გაწერილ ვადებში კომპანია 2024 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობს ჩამოწერილი სესხების დაბრუნებაზე, მათთან სასამართლო შეთანხმებების მიღწევაზე. ძირითად ნაწილთან რეალური გადახდის გრაფიკის შედგენა, რომლის შესრულებაც მათ გადამხდელუნარიანობას შესაბამება შეთანხმებულ დროში.

ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახრები - კომპანიამ 2024 წელს მნიშვნელოვნად შეამცირა ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები



აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიამ შეძლო ვალდებულებების შემცირება ისე, რომ არ შექმნილა და არ არსებობს რისკი, ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრების უკან მოთხოვნამ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ბიზნესის უწყვეტობას. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს არ გაზრდილა კომპანიის მოთხოვნები, რაც წინა წლებში ფიქსირდებოდა. ამასთან, აღნიშნულმა ცვლილებებმა დადებითად იმოქმედა ლიკვიდობის კოეფიციენტზე, რაც ხაზს უსვამს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას და მის მყარ პოზიციას ბაზარზე.

ჯერ კიდევ 2021 წლის მიწურულს კომპანიის დირექტორის ინიციატივითა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სესხის გადახდების საშუალებებს დამატებულმა ახალმა/ალტერნატიულმა სისტემამ/საშუალებამ, კერძოდ მისოს ხელის ტერმინალის საშუალებით კლიენტზე ადგილზე მიკითხვის გზით სესხის გადახდამ წლების განმავლობაში საკმაოდ გაამართლა. აღნიშნული მომსახურებას მრავალი დადებითი ფაქტი აქვს როგორც კომპანიისათვის ასევე მომხმარებლებისათვის, მათ შორის: კლიენტს არ უხდება ბიზნესის დატოვება, იგი მეტად მობილიზებულია სესხის გადახდაზე და მინიმუმზეა დაყვანილი სესხის გადაუხდელობის ფაქტი, მეორეს მხვრივ ადგილზე მომსახურება პირდაპირ პროპორციულია ბიზნესის მონიტორინგთან, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება მისოს თანამშრომლის მიერ ბიზნესის მონიტორინგი და კლიენტის გადამხდელუნარიანობის შეფასება. კომპანიისათვის ამ უკანასკნელი მომსახურების ჩაშვება ფინანსურადაც მისაღები და გამართლებული აღმოჩნდა კომპანიისთვის, როგორც ხელშეკრულებებით განისაზღვრა კლიენტის მიერ ადგილზე მომსახურების არჩევის შემთხვევაში კომპანიას უნდა გადაუხადოს მომსახურების საკომისიო. ადგილზე მომსახურებით სესხის გადახდის პრინიპი ჩვენი კლიენტების უმრავლესობა ირჩევს და სარგებლობს, შესაბამისად კომპანიის შემოსავალი საკმაო მაჩვენებლით გაზარდა და კომპანიის წინსვლასა და განვითარებაში დიდი როლი ითამაშა, რაც ასევე პირდაპირ პროპორციულად აისახა კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასებზე. ხსენებულ წლებში დაიხვეწა და ჩამოყალიბდა საბონუსე სისტემა, რის საფუძველზეც თანამშრომლებს სახელფასო ანაზღაურება წინა წლებთან შედარებით საკმაოდ

გაეზარდათ. ყოველივე აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხსენებულა გადაწყვეტილებამ სამმაგი სტანდარტით გაამართლა.

2023 წელს კომპანიამ დაიწყო, ხოლო 2024 წელს აქტიურად განვაგრძეთ თანამშრომლობა და მომსახურების გამოყენება საერთაშორისო დონის კომპანიასთან signify.ge, რისი საშუალებითაც კომპანიაში ადგილზე იდენტიფიცირებულ პირებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერას განმეორებითი სესხის შემთხვევაში ვახორციელებინებთ ელექტრონული წესით (სოლიდარულ თავდებებს ძირითადად). ელექტრონული ხელმოწერა გულისხმობს ვიდეო იდენტიფიკაციის საშუალებით თანხმობის გამოხატვას ხელშეკრულებაზე, ანუ პიროვნება იღებს ID ბარათს /ანდა პასპორტს ფოტოს, შემდგომ იღებს ფოტოს შედარების მიზნით და იტვირთება ხელშეკრულების დასტურის დოკუმენტში ორივე მონაცემი ასევე ინახება ინფორმაცია თუ რომელი IP მისამართითა და ტელეფონით იქნა დამოწმებული ხელშეკრულებები, დადასტურების შემდგომ თანხმობის დოკუმენტი ინახება როგორც ელექტრონულად ასევე დოკუმენტალურად. დამატებით კვლავ მოწმდება ის საიდენტიფიკაციო მონაცემები რისი საშუალებითაც დაამოწმა პიროვნებამ ხელშეკრულება და რა მონაცემებით ჩვენს კომპანაიში უკვე არის იდენტიფიცირებული. სხვაობის შემთხვევაში არ მიიღება ელექტრონულად დადასტირებული ხელშეკრულება და პიროვნება უნდა გამოცხადდეს ადგილზე. აღნიშნულმა სისტემამ გაამარტივა და უფრო მოქნილი გახადა კლიენტებთან თანამშრომლობა.

2024 წელს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით განხორციელდა ძველი კადრების ჩანაცვლება ახალი თანამშრომლებით, რამაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მცირე შეფერხებები გამოიწვია. თუმცა, ახალი გუნდის ჩამოყალიბების შედეგად კომპანიას შეემატა ახალი ენერგია და რესურსი, რაც მთლიანად კლიენტების მოზიდვისკენ იყო მიმართული. აღნიშნულმა ცვლილებამ გაამართლა, რადგან მისი მიზანი იყო კომპანიის საკრედიტო პორტფელის ზრდა, რაც წარმატებით ხორციელდება და ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა კვლავ გრძელდება.

კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. ბათუმში, სადაც ფუნქციონირებს ერთი ფილიალი, რომელიც სრულად ემსახურება აჭარის რეგიონს. 2024 წელს კომპანია გაფართოვდა და დაიწყო საქმიანობა ქ. ოზურგეთში, სადაც თავდაპირველად სესხების გაცემის პროცესი ხორციელდებოდა ბათუმის ოფისის თანამშრომლების მეშვეობით, ხოლო შემდგომ ადგილობრივი კადრების აყვანით ჩამოყალიბდა პორტფელი. 2024 წლის ბოლოს გაიხსნა თბილისის ფილიალი, რაც კომპანიის რეგიონული გაფართოების მნიშვნელოვანი ეტაპია.

კომპანიის მიერ თითოეული პროდუქტის წარმატებით გაყიდვა დიდწილად დამოკიდებულია კლიენტთა მომსახურების ხარისხზე, დროზე და საოპერაციო პროცესების ეფექტიანობაზე. კომპანია მუდმივად ზრუნავს საკრედიტო პროდუქტების საოპერაციო პროცედურების გამარტივებასა და განვითარებაზე, ამ მიმართულებით მთავარ მიზანს წარმოადგენდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, საოპერაციო პროცესის გამჭვირვალობის

უზრუნველყოფა, პროცედურების ავტომატიზაცია, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებების დანერგვა. მომსახურების გაუმჯობესებისა და პროცესების გამჭვირვალობის მიზნით დაიხვეწა კლიენტთა მომსახურების სტანდარტი, რომელშიც დეტალურად არის ასახული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტისთვის მომსახურებისა და პროცესების მსვლელობის ეტაპები. აღნიშნული სტანდარტი დაინერგა მომსახურების მიწოდების ყველა არხისათვის. კომპანია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ბაზარზე დაკვირკებას, აკეთებს შეფასებებს და დასკვნებს შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით, ბაზრის კვლევაში იგულისხმება კონკურენტული ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროდუქტების შესწავლა, ბაზარზე არსებული მომხმარებლების მდგომარეობის შესწავლა და მათზე მორგებული პროდუქტების დამუშავება და შემდგომში მათზე შეთავაზება. აღნიშნული კვლევები ორგანიზაციაში დოკუმენტალურად არ ინახება (არ დგება სათანადო დოკუმენტი), ორგანიზაცია ახორციელებს კომიტეტურ განხილვებსა და ამავე წესით გადაწყვეტილების მიღებას.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარაში კომპანიას მოკლევადიანი ბიზნესესხების გაცემის პირობებში და მომსახურების სპეციფიკაში კონკურენტი არ ყავს, რაც წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ბაზარზე მისი მყარად დამკვიდრებისა და მომხმარებელთა ნდობის მოპოვებისთვის.

რეგულაციები

2017-2018-2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრად იქნა რეგულირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის წესები, ასევე საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდა საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული ურთიერთობები, დადგინდა ზედა ზღვარი, რომლის ფარგლებშიც კომპანიას შეუძლია სესხით სარგებლობისთვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შემოვიდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცნება. 2019-ში ასევე დაიწყო და დღემდე გრძელდება PTI კოეფიციენტების დაკმაყოფილების ვალდებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში რეგისტრირებული მსესხებლებისა და მათი თავდებების მიმართ, ასევე დაგვევალა საკრედიტო ინფორმაციების გადამოწმება და ფინანსური მდგომარეობის შესწავლა, როგორც მსესხებელების ასევე თავდები პირებისა. ასევე ინფორმაციის მიწოდება ჩვენთან არსებულ კლიენტებზე. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ დაიწყო ბიზნეს პროცესებისა და საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და ახალ რეგულაციებთან მორგება, მისი საქმიანობის საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დღეის მდგომარეობით ამ კონკრეტული მიმართულებითაც კომპანიას გამართული სისტემა აქვს და არცერთი სახის პრეტენზია არ დაფიქსირებულა მომხმარებლების მხრიდან მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობასთან დაკავშირებით.

კომპანიის უპირველესი მიზანია მის მიერ გაცემული სესხები იყოს სწორად დაკრედიტებული, შესაბამისად გაცემული სესხები სრულად პასუხობს დაკრედიტების დებულების მოთხოვნებს და

შესაბამისობაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეგულაციებთან, მათ შორის ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულებასთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის N143/04 ბრძანების თანახმად კომპანის 2018-2019 წელს დამატებით დაევალა ფინანსური მაჩვენებლის კუთხით ვალდებულებები, კერძოდ: - ლიკვიდობის კოეფიციენტების დაკმაყოფილების ვალდებულება შემდეგი გაანგარიშებებით, 2018 წლის 31 დეკემბერს უნდა დაეკმაყოფილებინა 16%, 2019 წლის 30 ივნისამდე - 18%, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისათვის 25%, კომპანიამ 2021 წელს წარმატებით გაართვა თავი და ძირითადად ყველა თვეში წარმატებით დაკმაყოფილებული ლიკვიდობის კოეფიციენტის მოთხოვნები (25%). გარდა ლიკვიდობის კოეფიციენტისა კომპანიას ამავე ბრძანების თანხამად უნდა დაეკმაყოფილებინა საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 24%-ის ოდენობით, ქონებრივი ინვესტიციის კოეფიენტი, ინვესტიციების კოეფიციენტი, ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტები და დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი, რომლებიც წლების განმავლობაში წარმატებულად (გადაჭარბებითაც კი) იქნა შესრულებული.

AML განყოფილების ფუნქცია და როლი

AML განყოფილების როლი კომპანიაში უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან შესწავლილ იქნეს ყველა ოპერაცია, მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკი. ამჟამად კომპანიაში შექმნილია მთელი რიგი პოლიტიკა-პროცედურები და დანერგილია პროგრამული უზრუნველყოფები. AML განყოფილების ძირითადი ფუნქციაა კომპანიის საკანონმდებლო რეგულაციებთან მუდმივ შესაბამისობაში ყოფნის უზრუნველყოფა, კლიენტებისა და ოპერაციების/გარიგებების რეგულარული სკრინინგი, შემდგომ მონიტორინგი და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების აღკვეთა / მიტიგაცია.

მუდმივ რეჟიმში ხორციელდება AML განყოფილების თანამშრომლების გადამზადება/დატრენინგება, როგორც ეროვნული ბანკის მიერ ასევე სხვა კომპანიების მიერ ჩატარებული ტრენინგ კურსების საშუალებით, რომელიც შემდეგში უზრუნველყოფს სხვა თანამშრომლების დატრენინგებასა და ცნობიერების ამაღლებას.

კომპანია იყენებს შემდგე პროგრამულ მომსახურებას:

1. კომპანია იყენებს ალტა სოფტვეარის B6 პროგრამას, სადაც ხორციელდება კლიენტთა რეგისტრაცია და ოპერაციები შესრულება

2. სოტფტგენის მომსახურებას, რომელიც ავტომატიზირებულია B6 პროგრამასთან, 2021 წელს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, რომელიც 2022 წელს გაგრძელდა შპს „სოფტგენი“-თან, რის საფუძველზეც შეძენილ იქნა დამხმარე პროგრამა და გვეძლევა საშუალება კომპანიაში რეგისტრირებული ნებისმიერი მომხმარებელი გადამოწმებლ იქნეს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილი და ACCUITY-S მიერ კომპილირებულ, ყოველდღიურად განახლებად მონაცემთა ბაზაში ავტომატურ რეჟიმში, რის საფუძველზეც

მარტივად და ავტომატურად შეგვიძლია გამოვავლინოთ, როგორც პოლიტიკურად აქტიური პირები, ასევე ტერორიზმში ეჭვმიტანილი ან/და მხილებული პირები.

3. კლიენტთა რისკის დონის მინიჭება ხორციელდება კომპანიაში გაწერილი და B6-ში ჩაშენებული რისკის მინიჭების მატრიცის საფუძველზე ავტომატურ რეჟიმში. შექმნილია იცნობდე შენს კლიენტს (KYC) კითხვარი და პროცედურები, რის საფუძველზეც ჩვენი კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის შპს ალტა სოფთვეარისაგან შეძენილ იქნა დამატებითი KYC მოდული, ჩაშენებული კითხვარის/ინტერვიუს შევსების შედეგად კომპანიას მიეცა შესაძლებლობა დაადგინოს კლიენტის რისკის დონე და განახორციელოს რისკის შესაბამისი პროცედურები. აქტიურ რეჯიმში კანონმდებლობით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხდება ინტვერვიუების გაკეთება სავალუტო ოპერაციებზე, ხოლო მსესხებებზე/თანამსესხებლებზე და შპს დირექტორებზე მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი თანხობრივი ლიმიტისა თანხის ნებისმიერ ოდენობაზე დგება ინტერვიუ, ძირფესვიანად ისწავლება კლიენტი და მისი შემოსავლები.

4. კომპანია იყენებს სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებას. კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით 2021 წელში აქტიური თანამშრომლობა დაიწყო და დღემდე გრძელდება სერვისების განითარების სააგენტოსთან, კერძოდ ხელშეკრულების საფუძველზეც კომპანია ახორციელებს კლიენტის იდენტიფიკაციას და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ვერიფიკაციას, რითაც კომპანიაში დახვეწილია კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცედურა. სერვისი საშუალებას გვაძლევს ID ბარათითა და საქართველოს პასპორტით მოსული პიროვნება როგორც ფოტოსურათით ასევე მის გარეშეც გადავამოწმოთ.

5. კომპანიაში შექმნილია დამატებითი პროგრამული უზრურუნველყოფები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება კონტროლი 50,000 ლარის კონვერტაციის შესრულებაზე და მეილზე იგზავნება ინფომაცია ანგარიშგების მონიტორინგის სამსახურში გაგზავნის შესახებ.

6. დამატებითი პროგრამული უზრუნვეყოფის საშუალებით კონტროლდება ვერიფიკაციის პროცედურა პროგრამის მიერ, ანუ განხორციელდა თუ არა კლიენტის პირადობის გადამოწმება სერვისების სააგენტოში. თუ არ არის გადამოწმებული გამოდის აკრძალვის ღილაკი და ვერ შესრულდება ოპერაცია თუ არ განხორციელდა გადამოწმება

7. დამატებითი პროგრამული ჩანართების საშუალებით ვახორციელებთ შემდეგ კონტროლს:

7.1 15,000 ლარის ოპერაციის დამატებითი კონტროლი

15,000 ლარის კონტროლს დამატებული აქვს კონტროლის საშუალება, კერძოდ:

პროგრამა აჯამებს, B6-ში შპს-ზე ან და მსესხებელთან ჩანართში - „კავშირებში„ რეგისტრირებული ნებისმიერი პირის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს და თუ ჯამი 1 თვის ჭრილში შეადგენს 15,000 ლარს და მეტს, მოლარეს ებლოკება ოპერაციის შესრულება და მოითხოვს თანხმობას

მეორე რგოლისაგან ოპერაციის გაგრძელების ნებართვის შესახებ. ნებართვის ნაწილს აქვს 2 ეტაპი: I ეტაპი კომენტარის საშუალება, II ეტაპი შედეგის დაფიქსირება.

7.2 KYC კითხვარში დაფიქსირებული პასუხის კონტროლი

KYC გამოკითხვისას კითხვარში მითითებული თანხების ოდენობა კონტროლდება კლიენტის ყველა ოპერაციის (ნაღდი/უნაღდო) პროპორციულად, ანუ თუ პიროვნების მიერ კომპანიაში შესრულებული ოპერაცია (სესხის გატანა, გადახდა, ვალუტის კონვერტაცია, ტერმინალი და ა.შ) გადააჭარბებს ატრიბუტში მითითებულ თანხას, ხდება ოპერაციის შესრულების დაბლოკვა. პროგრამაში ოპერაციის შესრულების მომენტში გამოდის შეტყობინება მაგ. ლიმიტი შევსებულია და არ ხდება თანხმობის გარეშე ოპერაციის შესრულება მოლარის მიერ. თანხმობა უნდა განხორციელდეს სხვა დირექტორის ან AML თანამშრომლის მიერ.

7.3 შპს-ს სასარგებლოდ გაკეთებული ვალუტის კონვერტაციის კონტროლი

იმ შემთხვევაში, როდესაც კონვერტაცია ხორციელდება შპს-ს სახელით და მოლარე დანიშნულებაში მიუთითებს სიტყვა - „შპს-ს სასარგებლოდ“, ამ მომენტშივე ხდება ოპერაციის დაბლოკვა, შეტყობინების გამოტანა, რომ შპს სასარგებლოდ კეთდება გარიგება და მოითხოვოს AML თანამშრომლების ჩართულობას. AML თანამშრომელი უზრუნველყოფს შემდგომ ყველა შპს დაკავშირებული ატრიბუტების, დარეგისტრირებული შპს მონაცემების შემოწმებას. შედეგის დაფიქსირებას.

7.4 კონტროლდება კლიენტის მიერ დანაწევრებულად შესრულებული გარიგების მოცულობა ზემოხსენებული მეთოდითა და საშუალებით.

კომპანიაშია შექმნილი და დანერგილია კანონმდებლობასთან შესაბამისი შემდეგი პოლიტიკა-პროცედურები, რომელიც ვიზირებულ იქნა კომპანიის ზედამხედველი ორგანოს მიერ, კერძოდ:

1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკა
2. KYC - „იცნობდე შენს კლიენტს“ მარეგულირებელი წესი
3. იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის მარეგულირებელი წესები
4. იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის მარეგულირებელი წესები
5. ფიზიკური და იურიდიული პირების რისკის დონეების განსაზღვრის პოლიტიკა (AML მიზნებისათვის)
6. საყურადღებო ნიშნების სახელმძღვანელო
7. ფიზიკური პირის პირველადი რისკის მინიჭების მატრიცა

ჩამოთვლილი მოდულები და პოლიტიკა პროცედურები საშუალებას გვაძლევს მეტად სისტემატიზირებული და კონტროლზე აყვანილი გვქონდეს ნებისმიერი პირის მიერ შესრულებული ოპერაცია, ასევე რაც მთავარია უზრუნევლყობს უხარვეზო მუშაობას და იცავს თანამშრომელსაც ხარვეზის დაშვებისაგან.

პროდუქტები

სასესხო პორტფელი კომპანიის ძირითადი აქტივია და იგი მთლიანი აქტივების 60% შეადდგენს (2023 წელს: 74%). 2024 წლის განმავლობაში კომპანია საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი საკრედიტო პროდუქტებით:

ა. საბლანკო სესხები (რომელიც განსხვავდება გადახდის მომსახურების სხვადასხვა ტიპებით: pay box აპარატებით, საბაკო ანგარიშზე გადმორიცხვით, ადგილზე მისოს ხელისტერმინალის საშუალებითა და კომპანის სალაროში)

ბ. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი;

გ. მოძრავი ქონებით გაცემული სესხები;

სასესხო პორტფელის ზრდასთან ერთად კომპანიამ მნიშვნელოვნად გაამკაცრა სესხების შესაძლო დანაკარგების აღრიცხვის სტრატეგია. 2024 წლის მდგომარეობით სასესხო პორტფელის შესაძლო დანაკარგების რეზერვის დინამიკა შემდეგია:



კომპანია მისაღებ ძირზე და პროცენტზე ქმნის ანარიცხებს. გაცემულ სესხებს არეზერვებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი სესხი რეზერვდება 30%-ით, 60-დან 120 დღემდე 50%-ით, ხოლო 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში რეზერვდება 100%-ით. ასევე რესტრუქტურიზებული სესხი რეზერვდება ერთი ბიჯით ზევით.

ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის აქტივების ზრდის დაფინანსების ძირითადი წყაროებია კაპიტალი, ადგილობრივი საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები, ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრები. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის მთლიანი კაპიტალი (1,216,722 ლარი) შეადგენს მისი აქტივების (2,075,568 ლ) 60%-ს. კაპიტალის ადეკვატური მოცულობით შენარჩუნების მიზნით კომპანიაში მოქმედებს შემდეგი ორი ძირითადი წესი:

სასესხო დაფინანსების ნაწილში კომპანიის სტრატეგიულ მიზანს წარმოდგენს ახალი სესხების საბანკო დაწესებულებებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუციებიდან მოზიდვა, ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების გეგმაზომიერი შემცირება.

აქვე აღსანიშნავის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2024 წელში არ მომხდარა წილის გასხვისება ან რაიმე სახის მნიშვნელოვანი ვალის აღება, დაგეგმილი ზრდის დაფინანსების მიზნებისათვის.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები

კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის საერთო შემოსავალი დაანგარიშებულია შემდეგნაირად - საერთო საპროცენტო შემოსავალს პლუს შემოსავლები საკომისიოებიდან, ჯარიმებიდან, მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან და სხვა შემოსავლები.

1. საერთო საპროცენტო შემოსავალი: 2024 წელს - 376,233 ლარი, 2023 წელს - 285,531 ლარი.
2. წმინდა ფინანსური შემოსავალი (საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები): 2024 წელს 305,186 ლარი, 2023 წელს 159,253 ლარი.
3. საერთო შემოსავლები მთლიანი ხარჯებთან % (გარდა მოგების გადასახდის ხარჯისა): 2024 წელს 82% (შემოსავალი - 929,253 ლარი, ხარჯი - 1,134,521 ლარი); 2023 წელს 126% (შემოსავალი - 1,300,508 ლარი, ხარჯი - 1,031,942 ლარი).
4. ყველა ხარჯი, გარდა პერსონალის ხარჯისა და მოგების გადასახადის ხარჯისა საერთო შემოსავლებთან %: 2024 წელს 49% (457,910/929,253*100%); 2023 წელს 30% (391,857/1,300,508*100%).
5. პერსონალის ხარჯები საერთო შემოსავლებთან %: 2024 წელს 73% (676,611/929,253*100%); 2023 წელს 49% (640,085/1,300,508*100%).
6. წმინდა მოგების (ზარალის) % (წმინდა მოგება/ საერთო შემოსავლებთან): 2024 წელს (22)%, 2023 წელს 18%.
7. მოგების გადასახადის (სარეგებილი)/ხარჯი: 2024 წელს (3,040) ლარი, 2023 წელს 86,579 ლარი.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სრულად და ამომწურავად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სანდოობას როგორც პარტნიორებისთვის, ისე რეგულატორებისთვის.

ძირითადი რისკები და მართვა

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან. კომპანიას მცირე რაოდენობით გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და

ვალდებულებები, რადგან სესხების გაცემა და მიღება ძირითადად ეროვნულ ვალუტაში ხდება. შესაბამისად, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკები მინიმალურია. მენეჯმენტი აქტიურად აკონტროლებს სავალუტო რისკს, ცდილობს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში იყოს წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ექვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება. გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანიას შემუშავებული აქვს ფორმალიზებული საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეყრდნობა აჭარის, ოზურგეთის და თბილისის ბაზარზე არსებულ კლიენტებზე ინფორმაციის დეტალურ მოძიებას და შესწავლას, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემა/არ გაცემაზე. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების იმ ძირითადი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მართვას, რომელთა მიმართაც კომპანიის ოპერაციები სენსიტიურია და რომელმაც შესაძლოა, მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას. რისკების ამ ჯგუფების მართვისა და მიტიგაციის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და პროცედურები, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კომპანიის კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები.

რისკის ტიპი	პასუხისმგებელი ერთეული	მართვის მექანიზმი
საოპერაციო და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო /რეგულაციების რისკები	საოპერაციო დეპარტამენტი, იურიდიული განყოფილება	საკანონმდებლო სიახლეების მუდმივი მონიტორინგი; ახალი და არსებული პროდუქტების შესაბამისობა საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნებთან; კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი შიდა ნორმატიული აქტების, პროცედურებისა და წესების შემუშავება და მუდმივი განახლება; ოპერაციების, ტრანზაქციებისა და დოკუმენტაციის რეგულარული ანალიზი და აუდიტი; ავტორიზაციის დონეები, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.
სავალუტო	ფინანსური დეპარტამენტი	უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების პერიოდული შეფასება და ღია სავალუტო პოზიციების დადგენა; ლარში ნომინირებული დაფინანსების წილის ზრდა სასესხო ვალდებულებებში და დოლარული ვალდებულებების მინიმიზაცია.
ლიკვიდურობა	ფინანსური დეპარტამენტი	ფულადი ნაკადების (შემოსავლებისა და გასავლების) შეფასება როგორც საოპერაციო, ასევე გრძელვადიან ჰორიზონტებზე; ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის იმგვარი მართვა და სტრუქტურირება, რომ ფულადი გასავლების გათვალისწინებით დაცული იყოს ფულის თავისუფალი ნაშთის დადგენილი რეზერვები; მსხვილი ფულადი გასავლებისთვის ფულადი სახსრების დადგნილი წესით წინასწარი მობილიზირების უზრუნველყოფა;
საპროცენტო	ფინანსური დეპარტამენტი	ბაზრისთვის ხარისხიანი ფინანსური პროდუქტების შეთავაზება კანონმდებლობით ნებადართული ფასის დიაპაზონის ზედა ნაწილში; დემპინგური და რისკებთან შეუსაბამო ფასებისა და ფასდათმობებისთვის თავის არიდება; ფინანსირების განაკვეთის შემცირებაზე მუდმივი მუშაობა, კრედიტორებისა და მოზიდული სახსრების ტიპების დივერსიფიკაცია; დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ალტერნატივების შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის ფლობა.

2025 წლის გეგმა და სტრატეგია

კომპანია 2025 წლის ფინანსური მონაცემების დაგეგმვას ახორციელებს 2024 წელს მიღწეული შედეგების და 2025 წლის სტრატეგიის საფუძველზე. კერძოდ, 2025 წლის ძირითადი სტრატეგია და დაგეგმვის პრინციპები არის შემდეგი:

- თბილისის ფილიალის პორტფელის ზრდა;
- ოზურგეთის ფილიალის მომგებიანობის ანალიზის მიხედვით ფილიალის შეფასება;
- ბათუმის ფილიალის პორტფელის ზრდა;
- ბანკისგან მოზიდული სახსრების საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა;
- ჩამოწერილი სესხების დაბრუნება, კლიენტებთან მიღწეული შეთანხმებების მიხედვით;
- ცვლილება დამფუძნებელზე გაცემული სესხის ვადაში და დაფარვის პირობებში;
- ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების დაფარვა.

თბილისის ფილიალის პორტფელის ზრდა - 2025 წლისთვის თბილისის ფილიალი როგორც ტექნიკური უზრუნველყოფის, ასევე კადრების თვალსაზრისით მზად იქნება სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ამ დროისთვის უკვე კარგადაა შესწავლილი ადგილობრივი ბაზრის ძირითადი მახასიათებლები და მიდგომები, რაც საფუძველს ქმნის რეალისტური გეგმების დასახვისთვის. შესაბამისად, არაოპტიმისტური გათვლებით, შესაძლებელია 2025 წლის ბოლოსთვის დაგეგმილ იქნას დაახლოებით 700,000 ლარის ოდენობის პორტფელის შექმნა.

ოზურგეთის ფილიალის მომგებიანობის ანალიზის მიხედვით ფილიალის შეფასება - ოზურგეთის ფილიალის ფინანსური მომგებიანობისა და პერსპექტიულობის შეფასება დაგეგმილია 2026 წლის აპრილისთვის. თუ კვლავ შენარჩუნდება არსებული პრობლემები, მათ შორის სოციალური სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის ზრდა და სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების სირთულე, მაისში მოხდება ფილიალის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის გადახედვა. მანამდე, პესიმისტური გათვლით, დაგეგმილია დაახლოებით იგივე პორტფელის მოცულობა - 70,000 ლარის ოდენობით.

ბათუმის ფილიალის პორტფელის ზრდა - საკადრო ცვლილებების შემდეგ ბათუმის ფილიალს აქვს შესაძლებლობა შექმნას დაგეგმილი 1,069,400 ლარის ოდენობის პორტფელი, რაც ისტორიულად მიღწეულ მაჩვენებლებთან შედარებით ნაკლებია. ფილიალს, მეტი რესურსის არსებობის შემთხვევაში, გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა პესიმისტური მიდგომა უზრუნველყოფს გაუთვალისწინებელი დაბრკოლებების დაზღვევას და რეალისტური გეგმების დასახვას.

ბანკისგან მოზიდული სახსრების საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა - საკრედიტო ხაზის ლიმიტი ამოიწურა 2025 წლის აგვისტოში, რის შემდეგაც სექტემბერში განხორციელდა მისი განახლება, როგორც ისტორიულად, კვლავ საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით. ბანკი საკრედიტო პორტფელის შესაბამისად ახდენს ლიმიტის კორექტირებას. სესხი მყარად არის უზრუნველყოფილი, ხოლო კომპანიას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, რაც რეალურ

საფუძველს ქმნის საკრედიტო ხაზის ლიმიტის 100,000 ლარამდე გაზრდის მოლოდინისთვის. ამ შემთხვევაში იგეგმება ახალი პროდუქტების, „სამომხმარებლო სესხი-თვეში ერთხელ დაფარვით“ და „ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხი“ დამატება.

ჩამოწერილი სესხების დაბრუნება, კლიენტებთან შეთანხმებების მიხედვით - კომპანია აქტიურად მუშაობს 100%-ით დარეზერვებულ სესხებთან დაკავშირებით; მიღწეულია სასამართლო შეთანხმება სესხების ძირითადი ნაწილის ეტაპობრივად დაბრუნებაზე, რაც 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით მოიცავს 132,000 ლარის ამოღებას, კერძოდ:

ნოემბერი 2024 - თებერვალი 2025	62,000
მარტი 2025 - მაისი 2025	30,000
ივნისი 2025 - აგვისტო 2025	20,000
სექტემბერი 2025 - დეკემბერი 2025	20,000
სულ	**132,000**

ცვლილება დამფუძნებელზე გაცემული სესხის ვადაში და დაფარვის პირობებში - დამფუძნებელს მიღებული აქვს მყარად უზრუნველყოფილი საბანკო სამომხმარებლო სესხი, სადაც კომპანია თანამსესხებლის როლშია და სესხი გამოყენებულია კომპანიის საჭიროებებისთვის. მისი დაფარვა ხორციელდება კომპანიიდან მიღებული ანაზღაურებით, რაც მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს 18,026 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადი 3,533 ლარი და საპენსიო ანარიცხი 361 ლარი). მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ბანკთან (ან სხვა ბანკთან) სესხის ვადის გახანგრძლივებისა და ყოველთვიური შენატანის შემცირების მიზნით. ასევე განიხილება ეროვნული ბანკის ნებართვის მიღება, რათა სესხის დაფარვა მოხდეს დივიდენდის გატანის გზით და არა ხელფასის სახით. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში კომპანიას შეუმსუბუქდება საკრედიტო ტვირთი, რაც საშუალებას მისცემს შექმნას უფრო დიდი პორტფელი, ვიდრე დაგეგმილი 1,839,400 ლარი, და მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ფინანსური მაჩვენებლები. დაგეგმვისას განხილულია ორივე ვარიანტი, ხელფასის გატანით სესხის დაფარვის შემთხვევაში, 2025 წლის დაგეგმილი მოგება შეადგენს 97,596 ლარს. დივიდენდის გატანით სესხის დაფარვის შემთხვევაში, 2025 წლის მოგება იზრდება და შეადგენს 158,119 ლარს. სხვაობა ორ ვარიანტს შორის არის 60,523 ლარი, რაც მიუთითებს, რომ დივიდენდის გამოყენება სესხის დაფარვისთვის ფინანსურად უფრო მომგებიანია კომპანიისთვის.

2025 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება განვითარების და შემოსავლის ზრდის მიმართულებით. წლის განმავლობაში იგეგმება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის ღონისძიებების განხორციელება, რაზეც ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და მოლაპარაკებები საბანკო ინსტიტუტებთან. მოზიდული სახსრები კომპანიას მისცემს შესაძლებლობას გააფართოოს საკრედიტო პორტფელი და სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნა, მათზე მორგებული და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებით, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კომპანიის პოზიციებს ბაზარზე.

ცნობადობის გაზრდის მიზნით, დაგეგმილია მარკეტინგული აქტივობების განხორციელება, მათ შორის სარეკლამო კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება და შესაბამისი მომსახურების მიღება, კომპანიის სოციალური ქსელებისა და ვებ-პლატფორმების განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას მომხმარებელთა მოთხოვნების უკეთ დასაკმაყოფილებლად. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციასა და ფინანსური რისკების მართვას, მათ შორის• ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრების დაფარვას. ამასთან, კომპანიის განვითარების გეგმები კადრების მართვის მიმართულებით მოიცავს გუნდის გაძლიერებას პროფესიონალი და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლების შერჩევით, მათი ტრენინგითა და გადამზადებით, ახალი პოზიციების შექმნით, შიდა პროცესების გაუმჯობესებით და ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტების გამკაცრებით, რაც მიზნად ისახავს მომსახურების ხარისხის ზრდასა და კომპანიის სტაბილურ განვითარებას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს.

შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +"-ის
დირექტორი
ჯანსუღი ზეიშვილი